# შემოსავლების სამსახური

## ბრძანება №2119

28 04 2011 წელი თბილისი

### მანგანუმშემცველი მადნის გადამუშავებისას საწარმოო დანაკარგის დამტკიცების შესახებ

„ბუნებრივი დანაკარგების მაქსიმალური ზღვრული ოდენობების შემმუშავებელი სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 14 აპრილის №845 განკარგულების მე-3 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 მარტის №248 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. მანგანუმშემცველი მადნიდან მანგანუმის შენადნობის დამზადებისას არსებული მანგანუმის საწარმოო დანაკარგი განისაზღვროს წარმოებაში ჩაშვებული მანგანუმის 20%-ს ოდენობით.
2. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სამსახურის უფროსი ჯამბულ ებანოიძე